

## სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი № 1

ქ. თბილისი

20.03.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნინო ოკრიბელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახლობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, მედიცინის ფაკულტეტის ფსიქიატრიისა და სამედიცინო ფსიქოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი (სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარე);

გრიგორ ტატიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

ზაზა რუხაძე - შპს „ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის“ ვიცე-პრეზიდენტი, სამართლის სოციალური მეცნიერებებისა და დიპლომატიის სკოლის დეკანი, პროფესორი, სხდომის მდივანი; მარინე ჩიტაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ლაშა გოცირიძე - ა(ა)იპ - ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტის დირექტორი;

თამარ გამსახურდია - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელმწიფის უნივერსიტეტის“ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი;

ნათია სამუშა - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესიონალი;

ორაკლი მჭედლიშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

დავით კახნიაშვილი - ა(ა)იპ - არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის თავმჯდომარე;

გიორგი ვეკუა - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის დეპარტამენტის უფროსი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;

თამარ აფრასიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;

6. თბილისის  
სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წარმომადგენელი:

ირაკლი ბურდული - საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარე.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

არჩილ გერსამია;

ირინა გორგილაძე;

ცირა ელისაშვილი;

ანა გორგოძე;

დავით წასიძე;

დავით ჯანდიერი;

ქეთევან მუხიგული;

გიორგი კობერიძე;

ნინო დოლიძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:25 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>5</sup> მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>7</sup> მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>5</sup> მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს მდივნის მოვალეობის შესრულება საბჭოს თავმჯდომარის დავალებით დაეკისრა საბჭოს წევრს ზაზა რუხაძეს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სააპელაციო საჩივრის განხილვა;
2. შპს საერო გიმნაზია კანდელის სააპელაციო საჩივრის განხილვა.

6. ოქთონი, 8/05

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა წარმოდგენილი სახით ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

6. თებერვალი

1. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სააპელაციო საჩივრის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და საჩივართან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, საქმის მასალები დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით სიტყვა გადაეცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, მადლობა გადაუხადა ცენტრს აპელაციის მექანიზმის ამოქმედებისათვის, რაც საშუალებას აძლევდა დაწესებულებას გაესაჩივრებინა ის მტკივნეული გადაწყვეტილება, რომელმაც, მისი მოსაზრებით, ინსტიტუტს ზიანი უსამართლოდ მიაყენა. მას ჰქონდა სერიოზული არგუმენტები იმის თაობაზე თუ რატომ მოხდა საკითხის გასაჩივრება. დაწესებულება აღიარებდა გარკვეულ ხარვეზებს, რომელიც არსებობდა პროგრამაში, თუმცა ის მიიჩნევდა, რომ აღნიშნული ხარვეზები, მათი შინაარსიდან გამომდინარე, არ უნდა ყოფილიყო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი მითუმეტეს, როდესაც არსებობდა პირობითი აკრედიტაციის მექანიზმი, რომელიც უკვე გამოცდილი იყო პრაქტიკაში და საკმაოდ კარგად მოქმედებდა იმ თვალსაზრისით, რომ დაწესებულებას აძლევდა შანსს მოკლე დროში გამოესწორებინა ხარვეზები ისე, რომ ზიანი არ მიეყნებინა დაწესებულების იმიჯისათვის და ფინანსური მდგომარეობისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული დასკვნის შინაარსობრივ მხარეზე და განაცხადა, რომ აკრედიტაციის ხუთი განახლებული სტანდარტიდან პროგრამა აკმაყოფილებდა ოთხ სტანდარტს. ნაწილობრივი შესაბამისობა ფიქსირდებოდა მთოლოდ ერთ სტანდარტში, რომელიც ეხებოდა პროგრამის შინაარსობრივ მხარეს. მიზეზად მოყვანილი გახლდათ არგუმენტი იმის თაობაზე, რომ სილაბუსებში ადგილი ჰქონდა თემების გადაფარვას. დაწესებულებამ დეტალურად შეისწავლა გადაფარვის საკითხი, სასურველი იყო აღნიშნული გადახედილი ყოფილიყო აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ჩატარებამდე იმისათვის, რომ მომზადებულნი წარმდგარიყვნენ აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე, თუმცა - ვინაიდნან სტანდარტები გახლდათ ახალი, აღნიშნულმა გარემოებამაც შეუწყო ხელი მათ არასათანადო მზაობას. ასევე თავად ცენტრსაც რომ შეემზადებინა დაწესებულება იმასთან დაკავშირებით, რომ აკრედიტაციის პროცესი უფრო კომპლექსური და სიღრმისეული იქნებოდა წინა წლებთან შედარებით, შეეცდებოდნენ მეტად მობილიზებულნი გამოცხადებულიყვნენ სხდომაზე. წარმომადგენლის განცხადებით, მათ თან ჰქონდათ წამოღებული სილაბუსები, წარმოდგენილი იყვნენ სპეციალისტები და მზად იყვნენ სათითაოდ გაერჩიათ სილაბუსები და დაედასტურებინათ, რომ თემების გადაფარვას ადგილი არ ჰქონდა. აღნიშნულთან დაკავშირებით საუბარი შეეხებოდა ორ საგანს - მმართველობის ფორმებს და თეორიებს და პოლიტიკის ფილოსოფიას. პრეტენზია შეეხებოდა იმას, რომ ლექტორი ორივე საგანში იყენებდა მაკიაველის, პლატონის და სხვა მოაზროვნეთა შეხედულებებს. აღნიშნული შეხედულებები საგნებში გამოიყენებოდა სხვადასხვა

6. ოქტომბერ, ჭირ

კუთხით, რაც არ შეიძლებოდა აღქმული ყოფილიყო გადაფარვად. სილაბუსებში ჩანდა, რომ საკითხავი მასალა გახლდათ სხვადასხვა და, შესაბამისად, თემებიც განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, პროგრამის შემუშავებისას დაწესებულება იყენებდა აკადემიური თავისუფლების პრინციპს, ეყრდნობოდა საერთაშორისო გამოცდილებასაც, თუმცა პროგრამის კომპონენტები მორგებული იყო საქართველოს რეალობას და მიჩნეული იყო, რომ თუ რომელიმე კომპონენტი უნდა ყოფილიყო გაძლიერებული პროგრამაში, ეს გახლდათ უშუალოდ დაწესებულების პრეროგატივა. აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება საკმაოდ მტკიცნეული იყო, ვინაიდან საჯარო მმართველობა გახლდათ დაწესებულების ძლიერი მხარე და ერთგვარი ნიშა, რომელიც მას წლების მანძილზე ჰქონდა დაკავებული. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა გარკვეული ხარვეზები, რომლებსაც დაწესებულებაც ეთანხმებოდა, აღნიშნული პროგრამა არ იმსახურებდა აკრედიტაციაზე უარის თქმას.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარეს ირაკლი ბურდულს.

ირაკლი ბურდულმა განაცხადა, რომ, როგორც იურისტი, შეცდებოდა სისტემატიზებულად განემარტა არსებული მდგომარეობა. პირველი საკითხი უკავშირდებოდა საჩივრის შედგენის ფორმალურ წინაპირობებს. პროცედურა არ გახლდათ აპელაცია კლასიკური გაგებით, საბჭო ვერ მოახდენდა გავლენას პროგრამის მატერიალურ-შინაარსობრივ მხარეზე, საუბარი ვერ შექებოდა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების შინაარსობრივ კონტროლს, თუ რომელი სტანდარტი შეესაბამებოდა მოთხოვნებს, აღნიშნულის განხილვა გახლდათ მხოლოდ და მხოლოდ აკრედიტაციის საბჭოს განხილვის საგანი. აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება ეფუძნებოდა სამ ძირითად ასპექტს. პირველი გახლდათ პროგრამის შინაარსი, მეორე გახლდათ აკადემიური პერსონალი, ხოლო მესამე - უნივერსიტეტის არასწორი დამოკიდებულება პროგრამასთან მიმართებით. მისი მოსაზრებით, დაწესებულებას არასწორი წარმოდგენა ჰქონდა პროგრამის შინაარსთან დაკავშირებით. სააპელაციო საჩივარში დაწესებულებას ანალოგის მაგალითად მოყვანილი ჰქონდა ანგლო-ამერიკული უნივერსიტეტების პროგრამები, სამართალი გახლდათ კოგნიტიური ინსტიტუცია, სამართალი - იქნებოდა ეს საჯარო თუ კერძო, იყოფიდა ორ ძირითად კატეგორიად, ანგლო-ამერიკულ და კონტინენტური ოჯახის კატეგორიად, რაც შექებოდა ამერიკულ ბიუროკრატიულ სისტემას, საჯარო მმართველობას, ადმინისტრაციულ მეცნიერებას ის ეფუძნება სულ სხვა პარადიგმებს, წინ იყო წარმოწეული სახელშეკრულებო, კონტრაქტუალისტური იდეები, მაშინ როდესაც ევროპული ბიუროკრატია და მისი არქიტექტურა, დაწყებული მაკიაველით და მონტესკიეს ჩათვლით, ეფუძნებოდა სხვა სისტემას. საქართველოში, როდესაც გატარდა საჯარო სამსახურის შესახებ რეფორმა, იგი მთლიანად აწყობილი იქნა გერმანულ-ფრანგულ მოდელზე, ვინაიდან საფრანგეთი იყო და ითვლებოდა ევროპული ბიუროკრატიის არქიტექტურის ფუძემდებლად და შემოქმედად. დაწესებულებას უნდა გაეზარდა ისეთი საჯარო მმართველი, რომელიც მისადაგებული იქნებოდა ევროპულ და, შესაბამისად, ქართულ პარადიგმებზე.

ირაკლი ბურდულის განცხადებით, უარყოფითი შეფასების კიდევ ერთ მიზეზს წარმოადგენდა სწორედ პროგრამის შინაარსი, საგნების განაწილების ბადე, შინაარსი გახლდათ დაწესებულების პოზიციის გამომხატველი, ვინაიდან როდესაც უნივერსიტეტის წარმომადგენელი განაცხადებდა, რომ ადმინისტრაციულ სამართალს მეექვსე სემესტრიდან უპრობლემოდ გადმოიტანდა პირველ სემესტრში და აკადემიურ პერსონალში საგნის

განმახორციელებლად წარმოდგენილი ჰყავდა პიროვნება, რომელიც წარმატებით წაიკითხავდა ერთდროულად ადმინისტრაციულ და კონსტიტუციურ სამართალს, ასევე ფილოსოფიას, აღნიშნული დაწესებულების არასწორი მიდგომის მაჩვენებელი გახლდათ. აგრეთვე, სასწავლო კურსი, როგორიც გახლდათ საჯარო მმართველობის შესავალი და სხვა. პირდაპირ კავშირში გახლდათ პროგრამის აგებულებასთან. 2016 წელს გამოცემულ იქნა სახელმძღვანელო საჯარო მმართველობის საფუძვლები. მან ურჩია პროგრამის ხელმძღვანელს და დაწესებულების წარმომადგენელს წაეკითხათ აღნიშნული წიგნის პირველი თავი, ზომერმანის, გერმანელი კოლეგის ნაწილი, რომელიც უკავშირდებოდა მმართველობის ფორმებს, ადმინისტრაციულ წარმოებას და სამართალწარმოებას, საქართველოს უმაღლესი მმართველობის ორგანოებს და ა.შ. მისთვის წარმოუდგენელი იყო, როგორ შეიძლებოდა გამოზარდათ საჯარო მოხელე, მიეცათ მისთვის საჯარო ადმინისტრაციაში საბაკალავრო ხარისხი, თუ კი მას არ ეცოდინებოდა - რას ნიშნავდა დისკრეცია, ადმინისტრაციული სამართალწარმოება და სხვა. ყოველივე აღნიშნული წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო პროგრამის პირველ ეტაპზე. საბჭოზე გამოკვეთილ იქნა კიდევ არა ერთი კომპლექსური საკითხი, რომელიც საჭიროებდა პროგრამაში ასახვას და გათვალისწინებული სამ, ერთმანეთისაგან თემატურად რადიკალურად განსხვავებულ, საგანს. შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ფორმით ახალი პროგრამა არ უნდა დაწყებულიყო. გადაწყვეტილება საბჭოს მიერ მიღებული იქნა ერთსულოვნად.

დაწესებულების წარმომადგენელმა დავით ჯანდიერმა გამოთქვა სურვილი გამოხმაურებოდა ირაკლი ბურდულის განცხადებებს, რომელსაც ის არ ეთანხმებოდა. თავად პროფესიით გახლდათ იურისტი და მიაჩნდა, რომ მისი კვალიფიკაცია გახლდათ საკმაოდ მაღალი. აპელაციის საფუძველთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ საქართველო გახლდათ ადამიანის უფლებების ევროპული კომისიის შემადგენელი ნაწილი, მისი დამატებითი ოქმით განსაზღვრული იყო, რომ ნებისმიერი საჩივარი, რომელიც ეხებოდა განათლების უფლებას, უნდა ყოფილიყო განხილული, შესაბამისად განცხადება იმის თაობაზე, რომ აპელაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ვერ იქნებოდა ეფექტური დაარღვევდა კომისიის მოთხოვნებს. ის ვერ დაეთანხმებოდა მოსაზრებას რომ აპელაცია ატარებდა მხოლოდ ფორმალურ სახეს.

ირაკლი ბურდულმა განაცხადა, რომ ის ვერ დაეთანხმებოდა დაწესებულების წარმომადგენლის პოზიციას.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დავით ჯანდიერმა დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას უნდა ჰქონოდა პირადი თავისუფლება და თავად გადაეწყვიტა უპირატესობას მიანიჭებდა კონტინენტურ სამართალს თუ ანგლო-ამერიკულს. მან განაცხადა, რომ თავად სწავლობდა სამაგისტრო საფეხურზე საფრანგეთში, სტრასბურგის უნივერსიტეტში, სადაც აქცენტი კეთდებოდა ანგლო-ამერიკულ სამართალზე. რაც შეეხებოდა იმას, თუ რომელი სისტემით უნდა გადაეცა დაწესებულებას ცოდნა სტუდენტებისათვის, კონსტიტუციური პრინციპი გახლდათ ის, რომ როდესაც ადმინისტრაციული ორგანო იღებდა გადაწყვეტილებას, ის უნდა ყოფილიყო თანაზომიერი. აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გახლდათ არათანაზომიერი და რადიკალური იმ პირობებში, როდესაც კანონმდებლობა იძლეოდა შესაძლებლობას გაცემული ყოფილიყო პირობითი აკრედიტაცია.

6. ოქმების ფურცელი

დაწესებულების წარმომადგენელმა არჩილ გერსამიამ განაცხადა, რომ მას სულ სხვა ფორმატში წარმოედგინა საბჭოს მიმდინარეობა, მისთვის გაუგებარი იყო ირაკლი ბურდულის მიერ სააპელაციო საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა ნათია სამუშიამ განაცხადა, რომ ის გახლდათ საბჭოს ახალი წევრი და მისი მოსაზრებით საბჭოს მთავარ მიზანს წარმოადგენდა განათლების ხარისხის ამაღლება. მას ასევე სურდა, რომ საბჭოს მსვლელობისას არ გაუღერებულიყო არაკოლეგიალური ფრაზები.

საბჭოს მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპზე, როგორც აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარის, ისე დაწესებულების მხრიდან ადგილი ჰქონდა არაკოლეგიალური ხასიათის შეფასებებს, რომელიც უშუალოდ არ ეხებოდა განსახილველ საკითხს. მიუხედავად ამისა, სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარის მოწოდების შედეგად, ორივე მხარემ კონსტრუქციულ რეჟიმში გააგრძელა საკითხის განხილვა და საბჭოს მიეცა შესაძლებლობა კონსტრუქციულ გარემოში სიღრმისეულად განეხილა საკითხი.

საბჭოს წევრმა ნათია სამუშიამ კითხვით მიმართა ირაკლი ბურდულს და დაინტერესდა აუცილებელი იყო თუ არა საჯარო მმართველობის პროგრამას ჰქონდა კლინიკა და შეეძლო თუ არა დაწესებულებას, თავად აერჩია ესწავლებინა ანგლო-საქსური თუ სხვა - გამოცდილების მიხედვით.

ირაკლი ბურდულმა განაცხადა, რომ საუბარი არ ეხებოდა იმას, ანგლო-საქსურ თუ კონტინენტურ სისტემას გამოიყენებდა დაწესებულება. მან განაცხადა, რომ ის არ ეთანხმებოდა დავით ჯანდიერის პოზიციას. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ სტრასბურგის უნივერსიტეტში მსგავსი სამაგისტრო პროგრამები შექმნილი გახლდათ გამიზნულად იმისათვის, რომ მოეზიდათ სტუდენტები სხვადასხვა ქვეყნებიდან. არცერთი სტუდენტი, რომელსაც სურვილი ექნებოდა ყოფილიყო ევროპული ბიუროკრატის არქიტექტურის შემადგენელი ნაწილი, არ ჩააბარებდა ანგლო-ამერიკულ პარადიგმებზე დაფუძნებულ საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამაზე. საქართველოს რეალობიდან გამომდინარე შეუძლებელი იყო საჯარო ბიუროკრატიაში დასაქმებული ყოფილიყო კურსდამთავრებული, რომელიც დაასრულებდა ანგლო-ამერიკული მიმართულების პროგრამას, როდესაც საქართველოს ბიუროკრატიული სისტემა მოჭრილი გახლდათ ევროპულ ყაიდაზე.

საბჭოს წევრმა ზაზა რუხაძემ განაცხადა, რომ სასურველი იქნებოდა სამართლის საფუძვლების სილაბუსის ავტორი თავად დასწრებოდა სხდომას, ვინაიდან სილაბუსი არ შეიცავდა აღნიშნული ტიპის კადრის მომზადებისათვის ისეთ აუცილებელ თემებს როგორიც გახლდათ მაგალითად: მართლშეგნება, სამართლებრივი კულტურა და სამართლებრივი აღზრდა. მაშინ როდესაც მხოლოდ ერთი თემა ეხებოდა არსებითად სამართლის საფუძვლების კურსს. დანარჩენი 8 თემა კონსტიტუციური სამართლის ნაწილი იყო, ხოლო 3 წარმოადგინდა ადამიანის ძირითადი კონსტიტუციური უფლებების ნაწილს.

საბჭოს წევრმა მარინე ჩიტაშვილმა განაცხადა, რომ მას ჰქონდა დამაზუსტებელი შეკითხვა. დოკუმენტაციის თანახმად აღმოჩნდა, რომ პროგრამაში არ იყო გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტი. მას აინტერესებდა, შესაბამებოდა თუ არა აღნიშნული სიმართლეს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მესამე-მეოთხე კურსიდან სტუდენტების უმეტესობა საქმდებოდა თავისი პროფილით საჯარო სექტორში. მესამე კურსიდან ლექციები ტარდებოდა საღამოს საათებში. შესაბამისად, პრაქტიკული კომპონენტი აუცილებლობას არ წარმოადგენდა.

6. თუ არა გარე გარე

საბჭოს წევრი მარინე ჩიტაშვილი დაინტერესდა, საჯარო მმართველობის რომელი პროფილისკენ იხრებოდა პროგრამა და რა იყო მათი სამიზნე ჯგუფი, სად დასაქმდებოდნენ კურსდამთვარებულები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საბაკალავრო საფეხურზე საჯარო მმართველობის სფერო არ იყო ცალსახად დიფერენცირებული, კურსდამთავრებულები უნდა დასაქმებულიყვნენ საჯარო სექტორში და ასევე უნდა ჰქონოდათ შესაბამისი უნარები, რომ ემუშავათ საჯარო პოლიტიკის და საჯარო მომსახურების სფეროშიც.

საბჭოს წევრმა ზაზა რუხაძემ განაცხადა, რომ როდესაც მან გადახედა თემებს სამართლის საფუძვლებში, აღმოჩნდა, რომ სახელმწიფოს კონსტიტუციურ სამართლებრივი მოწყობის ხუთი დახასიათებიდან, ორივე სილაბუსში მოცემული იყო მხოლოდ ორი, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფო. სახელმწიფოს კონსტიტუციური მოწყობის ხუთი სახეობიდან თემაში წარმოდგენილი იყო მხოლოდ ორი. მას აინტერესებდა, რითი იყო განპირობებული ამგვარი არჩევანი.

საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა განაცხადა, რომ პროგრამას აკრედიტაციის საბჭოს მიერ ეთევა უარი. პროცედურის თანახმად, საბჭოს არ შეეძლო გაეთვალისწინებინა დამატებითი შესწორებები, რომლებიც განხორციელდა პროგრამაში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დასრულების შემდგომ. შესაბამისად, თუ საკითხი ხელახლა დაუბრუნდებოდა აკრედიტაციის საბჭოს განსახილველად, რომელსაც მიღებული ჰქონდა ერთსულოვანი გადაწყვეტილება, ნაკლებად სავარაუდო იყო, რომ ისინი შეცვლიდნენ პოზიციას. მან განაცხადა, რომ გაცილებით მომგებიანი იქნებოდა, თუ კი დაწესებულება პროგრამაში განახორციელებდა გარკვეულ ცვლილებებს და ხელახლა შეიტანდა პროგრამას სააკრედიტაციოდ.

საბჭოს წევრმა გრიგორ ტატიშვილმა განაცხადა, რომ მას აინტერესებდა აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით, რამდენად ეფექტური იქნებოდა ერთ პიროვნებას წაეკითხა რამდენიმე საგანი. ასევე წარმომადგენლის პირველი სიტყვა ისეთი ფორმით იქნა აგებული, რომ საბჭოს წევრები დაუყოვნებლივ შეყვანილ იქნენ შინაარსის განხილვაში, მაშინ როდესაც საბჭო აკვირდებოდა და სწავლობდა მიღებული გადაწყვეტილების ფორმალურ მხარეს.

ირაკლი ბურდულმა განმარტა, რომ როდესაც დაწესებულებამ ცენტრში შემოიტანა არგუმენტირებული პოზიცია, მასში ასახული იყო, რომ ადმინისტრაციული სამართალი და ადმინისტრაციული სამართლის პროცესი მეექვსე სემესტრიდან გადმოვიდოდა პირველ სემესტრში, ხოლო შრომითი ხელშეკრულება დადებული იქნა ერთ პიროვნებასთან, რომელიც წაიკითხავდა ორივე საგანს. ვინაიდან ადმინისტრაციული სამართლის პროცესის კურსის წაყვანა საჭიროებდა დამატებით უნარებს, რაც კავშირში იყო სასამართლო პრაქტიკის სიღრმისეულ ცოდნასთან, აღნიშნულიდან გამომდინარე წარმოიშვა შეკითხვა, თუ რამდენად კომპეტენტური იყო ეს ადამიანი რომ ყველა ზემოთ აღნიშნული საგანი წაეკითხა.

აღნიშნულთან დაკავშირებით უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული ფაქტი ინტერპრეტირებული იქნა არასწორად და არ ეთანხმებოდნენ ირაკლი ბურდულის მოსაზრებას.

ირაკლი ბურდულმა განაცხადა, რომ ძირითადი პრობლემა რომელიც უკავშირდებოდა აკადემიურ პერსონალს, ეხებოდა ასევე აღნიშნული დაწესებულების სამართლის პროგრამასაც. ორივე შემთხვევაში აკადემიური პერსონალი ფიზიკურად არ არსებობდა, პროგრამას არ ემსახურებოდა მირითადი ბირთვი. ვინაიდან აღნიშნული პროგრამა გახლდათ ინტერდისციპლინარული და მოიცავდა სხვადასხვა კომპონენტს, ძირითად საგნებში მათ უნდა ჰყოლოდათ ადგილობრივი აკადემიური პერსონალი და არა - მოწვეული აკადემიური

პერსონალი. მხოლოდ მოწვეული აკადემიური პერსონალის მიერ პროგრამის განხორციელება გახლდათ ხარვეზი.

წარმომადგენელმა მიმართა ირაკლი ბურდულს და განუცხადა რომ აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე თავად მისი რეკომენდაცია გახლდათ ადმინისტრაციული სამართლის ერთი სემესტრიდან მეორეში გადმოტანა. ირაკლი ბურდულმა მიუგო რომ სწორად აღნიშნული გახლდათ არასწორი დამოკიდებულება მათი მხრიდან.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ მას ნანახი ჰქონდა უნივერსიტეტის მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდგომ განხორციელებული ცვლილებები, თუნდაც სამართლის საგნების გამრავალფეროვნება არჩევით ბლოკში, რაც ადასტურებდა იმას, რომ ცენტრში სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამაში არსებობდა საკითხები, რომელიც საჭიროებდა ჩასწორებას და შეცვლას. შესაბამისად, მისი მოსაზრებით, უმჯობესი იქნებოდა პროგრამის თავიდან წარმოდგენა ცენტრში და დეტალების კიდევ ერთხელ გადახედვა და გააზრება.

18:10 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 19:20 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 2

წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/6 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>2</sup> მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაზიარებულ იქნეს, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 10 იანვრის №02 გადაწყვეტილება ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლალი შაიშმელაშვილმა დაწესებულების მოთხოვნის საფუძველზე დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის, შპს საერო გიმნაზია კანდელის სააპელაციო საჩივრის განხილვის შემდეგი სხდომისთვის გადადებასთან დაკავშირებით. საბჭომ დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

6. ოქთიერ ჭრა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ, 19:30 საათზე საბჭოს  
სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე  
ნინო ოკრიბელაშვილი

ნ. ოქტომბერი

მდივანი  
ზაზა რუხაძე

